



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:

acad.as@gaas.dsl.ge

conference.gaas@yahoo.com

ვებ-საიტი:

www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2-94-13-20

*ტყალო აბ რნდა ჰგავდეს დღუენდელს, თუ კაცს პრეტერსი,
წინსულს ადამიანისა თუჩ სიფცვად აბ მიანხნის
ილია ჩავჩავაძე*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი "აკადემიის მაცნე", რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მიდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.



2016

**გილოცავთ შობა-ახალ წელს,
ვისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და
ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას!**

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი

აკად. გ.ალექსიძე

ა(ა)პ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
“სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების
დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი
შედეგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 2 ნოემბერს მოისმინა მოხსენება: ა(ა)პ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო - “სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსების პროექტის” შესრულების მიმდინარეობა და მოსალოდნელი შედეგები. მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

ადინიშნა, რომ ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“- ში მიმდინარე პროექტებია: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, დანერგე მომავლის პროექტი, აგროდაზღვევის პროექტი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტის მიზნებია: დაბალი ეკონომიკური აქტივობის რაიონებში 50 ახალი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა; გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესება; სანედლეულო ბაზის განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

შესაბამისობის კრიტერიუმებია: საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი (მათ შორის კოოპერატივები); პროექტის საერთო ღირებულება არ უნდა იყოს 200 000 აშშ დოლარზე ნაკლები; საწარმო უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებას; საწარმო ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე; აუცილებელია ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა; ბენეფიციარს უნდა გააჩნდეს ბიზნესის წარმოების სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

საწარმოთა დაფინანსების წყაროები და სტრუქტურა: ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა; თანმხვედრი გრანტი; შეღავათიანი კრედიტი, ან ლიზინგი.

დასაფინანსებელი 1 პროექტის ღირებულება არის 200,000 აშშ დოლარზე მეტი.

ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა გულისხმობს: თანადაფინანსების მოცულობა - პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10 % - სა, საწარმოს კაპიტალში შენატანის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა აღემატება 62 500 აშშ დოლარს, ან მის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ბენეფიციარს უფლება აქვს გადაჭარბებული თანხა არ შეიტანოს საწარმოს კაპიტალში (საწარმოს კაპიტალში შეტანის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით)

თანმხვედრი გრანტი გულისხმობს: გრანტის მოცულობა - პროექტის ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 40 % , მაგრამ არანაკლებ 80 000 აშშ დოლარი, ან მისი ექვივალენტი ლარი და არაუმეტეს 250 000 აშშ დოლარი, ან მისი ექვივალენტი ლარი. ამასთან, დასაშვებია თანადაფინანსების მოცულობის 40% -ზე ნაკლების არსებობა, თუ პროექტის ჯამური ღირებულება აღემატება 625 000 აშშ დოლარს; მიზნობრიობა - ძირითადი საშუალებების შეძენა. მათ შორის: საწარმოო მანქანა დანადგარების შეძენა; შენობა - ნაგებობების შეძენა, აშენება. სააგენტოს თანადაფინანსება - განისაზღვრება წლიური 11% -ით,

როგორც ძირითადი, ასევე საბრუნავი საშუალებების დაფინანსების შემთხვევაში

შეღავათიანი კრედიტის პირობებში მოიაზრება: სესხის მაქსიმალური ვადა: ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის - 84 თვე (7 წელი); სესხის მოცულობა: პროექტის ჯამური ღირებულების 50% მდე, მაგრამ არაუმეტეს 500 000 აშშ დოლარის, ან მისი ექვივალენტისა ლარში; საშეღავათო პერიოდი :

ძირითადი საშუალებების დაფინანსებისთვის გაცემული სესხის შემთხვევაში: საპროცენტო განაკვეთზე არანაკლებ - 12 თვისა ; ძირითად თანხაზე არანაკლებ - 24 თვისა ;

საბრუნავი საშუალებებისთვის გაცემული სესხის შემთხვევაში: საპროცენტო განაკვეთზე არანაკლებ - 12 თვისა ; ძირითად თანხაზე არანაკლებ - 18 თვისა

პროექტით გათვალისწინებული საწარმოების ტექნიკური დახმარება მოიცავს: ბიზნეს გეგმის შედგენა; ადამიანური რესურსის ტრენინგები; ხარისხის მართვისა და სურსათის უვნებლობის სისტემების დანერგვა და სერტიფიცირება; უცხოელი ექსპერტების საწარმოებში მოწვევა;

დასაფინანსებელი საქმიანობებია: ხორცის გადამამუშავება, ხორცპროდუქტების წარმოება; თევზის გადამამუშავება, თევზპროდუქტების წარმოება; რძის გადამამუშავება, რძის პროდუქტების წარმოება; ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების წარმოება; მატყლის, ტყავის გადამამუშავება; თაფლის და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების გადამამუშავება; ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, ციტრუსის გადამამუშავება; მარცვლეულის გადამამუშავება (გარდა ხორბლის ფქვილის წარმოებისა); კაკლის, თხილის, მიწის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება; დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება; ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება პროექტის ფარგლებში არ ფინანსდება: ღვინის წარმოება; სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება; ხორბლის ფქვილის წარმოება.

პროექტის მიმდინარეობისას ხდება ახალი საწარმოების სისტემატური მონიტორინგი შემდეგი მიმართულებებით: ფულადი სახსრების ხარჯვა; ახალი საწარმოების მოსამზადებელი სამუშაოების პროგრესი; საფინანსო დაწესებულებების მიერ ხელშეკრულების ვალდებულების შესრულება.

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია 205 პროექტი (ჯამური ღირებულებით 126,800,983.1 აშშ დოლარი); 205 პროექტზე საგრანტო ოფიცრების მიერ მომზადებულია 178 პროექტის დასკვნა; 178 პროექტიდან უარყოფილია 87, ხოლო ბიზნეს გეგმის შედგენის ეტაპზე დაშვებულია 91 პროექტი; მომზადებულია 83 ბიზნეს გეგმა, მათგან საგრანტო კომიტეტის მიერ განხილულია 35, საიდანაც დამტკიცებულია 21; 9 ბენეფიციართან გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს საწარმოების მშენებლობის პროცესი; 36 პოტენციური

ბენეფიციარი საბანკო დაფინანსების მოძიების პროცესშია; მიმდინარეობს 8 ბიზნეს გეგმის მომზადება საკონსულტაციო კომპანიების მიერ.

საგრანტო კომიტეტის მუშაობის პროცედურებია: სხდომის ჩატარების შეთანხმება საგრანტო კომიტეტის თავმჯდომარესთან (დღე, ადგილი, დრო - პროექტის მენეჯერი); სხდომის ჩატარების გადაწყვეტილების შესახებ კომიტეტის წევრების ინფორმირება და მათგან დასტურის მიღება (ელექტრონულად, ან ტელეფონით - პროექტის ადმინისტრატორი); სხდომაზე განსახილველი ბიზნეს გეგმების ელექტრონულად დაგზავნა

საგრანტო კომიტეტის წევრებთან, პარალელურად ამონაბეჭდებით უზრუნველყოფა (პროექტის ადმინისტრატორი); სხდომაზე ბიზნეს გეგმების პრეზენტაცია (სააგენტოს წარმომადგენლი); საგრანტო კომიტეტის წევრების მიერ ბიზნეს გეგმების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (საგრანტო კომიტეტის წევრები); სხდომის ოქმის მომზადება და საგრანტო კომიტეტის წევრებთან ელექტრონულად დაგზავნა, თანხმობის შემთხვევაში ოქმის დაბეჭდვა და ხელმოსაწერად დაგზავნა (პროექტის ადმინისტრატორი).

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 2 ნოემბერს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ციტიშვილის მოხსენება “სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები.”

ადინიშნა, რომ რისკის შეფასების სტრუქტურის მისია არის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სურსათთან ასოცირებული რისკების ალბათობისა და სიმძიმის შეფასება.

მიზნები: სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირების ერთიანი სისტემის ეფექტური ფუნქციონირება; „მინდვრიდან-მაგიდამდე“ სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო-ტექნიკური რეკომენდაციებით უზრუნველყოფა; სურსათთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების გამოვლენა, სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების მომზადება და რისკის მმართველებისთვის წარდგენა; საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტების პროექტების შემუშავების პროცესში სამეცნიერო - ტექნიკური დახმარება; რისკის შეფასების სფეროში მჭიდრო ურთიერთობა რისკის შეფასების საერთაშორისო და უცხოურ ინსტიტუციებთან; მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება სურსათთან დაკავშირებული რისკების, რისკის შეფასების პროცესებისა და შედეგების შესახებ; რისკის შეფასების საერთაშორისო გაიდლაინების ჰარმონიზება; დასაქმებული პერსონალისა და ექსპერტების შესაბამისი სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფა, მათი პროფესიული საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

საკანონმდებლო საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა „დაცვის კოდექსი“ ; სურსათის უვნებლო-

ბასთან დაკავშირებული “რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების“ - მიზნების დადგენილების პროექტი. **საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი მუხლი 4. რისკის ანალიზის პრინციპი.** ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები და ქმედებები რისკის ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. რისკის ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: ა) რისკის შეფასება; ბ) რისკის კომუნიკაცია; გ) რისკის მართვა.

რისკის ანალიზთან დაკავშირებული ღონისძიებებია: ა) შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის სამეცნიერო დასკვნის საჭიროებისამებრ წარდგენა; ბ) რისკის შეფასებისა და სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავების ხელშეწყობა და კოორდინირება; გ) სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების საჭიროებისამებრ მოკვლევა, შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზი; დ) ახალი საფრთხეების საჭიროებისამებრ იდენტიფიცირება და აღწერა; ე) დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის ხელშეწყობა; ვ) მეცნიერული და საექსპერტო დახმარება ამ კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად საგანგებო ზომების მიღებისას; ზ) რისკის ანალიზთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

რისკის შეფასების კონცეფცია მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

განხილვა როგორც ის ძირითადი მექანიზმი, რომლის დროსაც ხდება რისკის მართვის ღონისძიებათა შემუშავება და მიიღება როგორც საერთაშორისო, სახელმწიფო, რეგიონალურ დონეებზე, ასევე ცალკეული საწარმოსა თუ სხვა დამაბინძურებელი პოტენციური წყაროს დონეზე.

რისკის შეფასება მოიცავს ოთხ ბაზისურ საფეხურს: ა) საფრთხის იდენტიფიცირებას; ბ) საფრთხის აღწერა-დახასიათებას; გ) საფრთხის ზეგავლენის შეფასებას; დ) რისკის დახასიათებას.

რისკის შეფასება ეფუძნება ხელმისაწვდომ, მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს. რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.

დღეისათვის რისკის შეფასებას ახდენს: რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო: თავმჯდომარე + 105 წევრი; რისკის შეფასების სამსახური

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო არის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის 23 მ 03.02.2015 ბრძანებით შექმნილი რისკის შეფასების დამოუკიდებელი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. რისკის შეფასება ეფუძნება ხელმისაწვდომ, მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს; რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ; საბჭოს საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების აგენტების აღბათობისა და სიმძიმის დამოუკიდებელი მეცნიერული შეფასების საფუძველზე დასკვნის მომზადება.

სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოსა და რისკის შეფასების სამსახურის მიერ შესწავლილი საკითხები, სამეცნიერო დასკვნები და რეკომენდაციები.

ინდუსტრიული ტრანსცხიმები; შიგა ტოქსინის წარმომქნელი E.coli: ვეროციტოტოქსიური E.coli (VTEC); ენტეროჰემორაგიული E.coli (EHEC)-ის; კამპილობაქტერიოზის გამომწვევი -Campylobacter-ის; სტაფილოკოკური ენტეროტოქსინების; კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკის; Shigella-ს; პრიორიტეტულობის დადგენას და ასევე Listeria monocytogenes-ით დაბინძურებული სურსათის ჯგუფებისთვის მიკრობიოლოგიური ზღვრების დადგენის მიზნით, Listeria monocytogenes-ით სურსათის ნიმუშების დაბინძურების ფაქტების განხილვას და დაბინძურებას დაქვემდებარებული სურსათის ჯგუფების რანჟირებას. ფრინველის გრიპი

- ფრინველის მადალპათოგენური გრიპის A(H5N1) წინასწარი რისკის შეფასების პროექტი; „სურსათში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების“ პროექტი. „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვარის დადგენის წესის“ პროექტი.

საკანონმდებლო საქმიანობა: „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის პროცედურების დამტკიცების შესახებ; რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გეგმები: დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირებული პოტენციური საფრთხეების განხილვა; საერთაშორისო-სამეცნიერო კვლევებისა და შედეგების მიმოხილვა; პროფილური მიმართულების მეცნიერთა მოწვევა შესაბამისი დასკვნების მისაღებად; გამოცდილების მიღების მიზნით, ევროპული ინსტიტუციების შედეგების საერთაშორისო მეთოდებით პრიორიტეტულობის შესწავლა; საქართველოს რეგიონებში სწავლების მიზნით მივლინებები; სპეციალური კვლევების ჩატარების მიზნით პრიორიტეტული ლაბორატორიების შერჩევა.

2016 წლის საკვლევი სფეროები: **ქიმიური საფრთხე** - ქიმიური დამაბინძურებლებისა და საკვებდანამატების რისკის შეფასება; **ბიოლოგიური საფრთხე** - სურსათის მიკრობიოლოგიური რისკის შეფასება; **ფიზიკური საფრთხე** - სურსათის საწარმოო ტექნოლოგიების რისკის შეფასება.

კვლევის მეთოდები: **მიკრობიოლოგიური რისკის შეფასების პრინციპები და გაიდლაინები; PRINCIPLES AND GUIDELINES FOR THE CONDUCT OF MICROBIOLOGICAL RISK ASSESSMENT CAC/GL 30-1999; სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზი. სახელმძღვანელო ეროვნული სურსათის უვნებლობის ორგანოებისთვის; Food Safety Risk Analysis. A Guide for National Food Safety Authorities; FAO FOOD AND NUTRIATION PAPER 87. სურსათში ქიმიური საფრთხეების რისკის შეფასების პრინციპები და მეთოდები; Principles and Methods for the Risk Assessment of Chemicals in Food; RISK ASSESSMENT AND ITS ROLE IN RISK ANALYSIS; რისკის შეფასება და მისი როლი რისკის ანალიზში - FAO-სა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთობლივი პუბლიკაციები; RISK ASSESSMENT AND ITS ROLE IN RISK ANALYSIS; A joint publication of the Food and Agriculture Organization of the United Nations and the World Health Organization)**

ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიმდინარე წლის 25 დეკემბერს მოისმინა აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურას მოხსენება "ყურძნის ნარჩენებიდან ბუნებრივი ბიოსტიმულატორების მიღების შესახებ."

კვების მრეწველობა – ესაა მრავალპროფილიანი, ეფექტური და საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პოტენციალი, რომლის განვითარებაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემებისა და ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობათა პრობლემების მოგვარების საკითხიც.

გასულ წლებში აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში წარმოებული პროდუქციის პიკური მაჩვენებლები იყო: ყურძნის ღვინო – 22 მლნ დეკალიტრი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები – 1200 მლნ პ.კ., პირველადი გადამუშავების ჩაი – 140 ათასი ტონა; ეთერზეთოვანი ნედლეული – 51 ათასი ტონა, საკვები თევზის პროდუქცია – 83 ათასი ტონა; 20 ათასი ტონა ფერმენტირებული თამბაქო და ა.შ.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობაში წარმოებული ნედლეულის სრულ ათვისებას და, შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის დასაქმებას.

მხოლოდ კვების მრეწველობაში დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი ადამიანი. მათ შორის ჩაის მრეწველობაში – 18,6, პურისა და საკონდიტრო მრეწველობაში – 14, საკონსერვო – 11, ღვინის – 7,5, თამბაქოს წარმოება – 7,9, ხორცისა და რძის – 8,5, თევზის – 3,6 და ა.შ.

1991-2012 წლებში კვების მრეწველობის საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მათი საწარმოო სიმძლავრეების დიდი ნაწილი იმდროინდელი მთავრობის ხელშეწყობით საზღვარგარეთ ჯართად გაიყიდა, შეწვდა კადრების მომზადება. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობაში არსებული ნედლეულის დამზადების შესაძლებლობები დღემდე რჩება გამოუყენებელი რეზერვის მდგომარეობაში, რაც გადაუჭრელ პრობლემად ტოვებს მოსახლეობის სოფლად დასაქმებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისების საქმეს. ამასთან, დღემდე არ არსებობს ამ სფეროს აღორძინების მეცნიერულად დასაბუთებული არც კონცეფცია და არც ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტული პროგრამები.

ბოლო წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი კვების პროდუქტებიდან არც ერთზე არ არსებობს მოთხოვნილება საზღვარგარეთის ქვეყნებში. როგორც ევროპის, ასევე ამერიკის ბაზრები გაჯერებულია სუფრის ღვინოებითა და ხილ – კენკროვანთა წვენებით, სხვა ტრადიციული კვების პროდუქტებით, რის გამოც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ახალი მიმართულებების გამოკვლევა, ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით კონკურენტუნარიან პროდუქციის

წარმოების მიზნით.

საქართველოში არსებობს 450-500 ათასი ტონა ყურძნის დამზადების შესაძლებლობა. ეს ყურძნის ის რეალური რაოდენობაა, რომელსაც გამზადებით გასულ წლებში სუფრის ღვინოების მისაღებად. დღეს ეს მაჩვენებელი 100-120 ათას ტონამდე დავიდა, მაგრამ შეიმჩნევა ყურძნის დამზადების ზრდის ტენდენცია მას შემდეგ, რაც გაიზარდა ქართული ღვინოების ექსპორტი რუსეთის ბაზარზე.

ყურძნის გადამამუშავებისას წარმოიშობა მყარი ნარჩენები, რომელთა რაოდენობა აღწევს საწყისი ნედლეულის 30-32%. ყურძნის მყარი ნარჩენები შეიცავს ყურძენში არსებული ბიოაქტიური, სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ნივთიერებების ძირითად ნაწილს, რომლებიც რჩება ამ ნარჩენებში მთლიანად (თეთრი ყურძნის გადამამუშავებისას) ან ნაწილობრივ (წითელი ღვინის წარმოებისას).

შესაბამისი ტექნოლოგიის არარსებობის გამო, ყურძნის გადამამუშავების ნარჩენებმა მსოფლიოში ვერ პოვა გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყარ ნარჩენებს იყენებენ ყურძნის ბრენდის (ჭაჭის არაყი საქართველოში) მისაღებად. ამ შემთხვევაშიც ბიოაქტიური ნივთიერებების ძირითადი ნაწილი რჩება ნარჩენებში, არ გამოიყენება და ანაგვიანებს გარემოს.

ყურძნის მყარი ნარჩენები გამდიდრებულია ფენოლური ნაერთებით, რომლებიც წარმოადგენენ ანტიოქსიდანტურ, ანტიკანცეროგენულ ნივთიერებებს და შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნან სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტების მისაღებად. ეს ნარჩენები ასევე მდიდარია დაბალმეტოქსილირებული პექტინოვანი ნივთიერებებით, რომელთაც უნარი აქვთ ადამიანის ორგანიზმიდან გამოიტანონ მძიმე მეტალები და რადიოაქტიური ნივთიერებები, და ამდენად მათი გამოყენებით შეიძლება დამზადდეს მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილი რადიოპრო-ტექტორული დანიშნულების კვების პროდუქტები.

ყურძნის პექტინი გამოირჩევა სხვა დანარჩენი მცენარეული ნედლეულიდან მიღებული პექტინისაგან იმით, რომ ის შედგება დაბალმეტოქსილირებული გალაქტურონოჟანგებისაგან. დაბალმეტოქსილირებულ პექტინს გააჩნია ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოტანის მეტი უნარი მაღალმეტოქსილირებულ პექტინთან შედარებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურძნის გადამამუშავების მყარი ნარჩენები წარმოადგენენ შესანიშნავ ნედლეულს ფუნქციონალური დანიშნულების – ანტიოქსიდანტური, რადიოპროტექტორული, ანტიდიაბეტური და ანტიკანცეროგენული კვების პროდუქტების

მისაღებად.

აღნიშნული ნარჩენებიდან ბიოაქტიური ნივთიერებების ამოსაღებად

(ექსტრაგირებისათვის) ჩვეულებრივ იყენებენ მარილმჟავით შემუშავებულ წყალხსნარებს ან ეთილის სპირტს. ამ ექსტრაგენტების გამოყენება ართულებს პროცესს და აძვირებს მიზნობრივი პროდუქტის ღირებულებას. ამდენად, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს იაფი და თან ნატურალური ექსტრაგენტის გამოყენება საღებავისა და ბიოაქტიური ექსტრაქტების მისაღებად. ასეთ ექსტრაგენტად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა საკონიაკე ღვინის გადაღვინისას დარჩენილი ბუყი ანუ ალკოჰოლმოშორებული ღვინო.

საბრენდე (საკონიაკე) ღვინის გამოხდის დროს წარმოიქმნება თხევადი ნარჩენები, რომლებიც ვერ პოულობენ გამოყენებას და ანაგვიანებენ გარემოს. (სურ.6). ცხრილში 3 ნაჩვენებია ღვინის გადამუშავების ნარჩენების (ღვინის ბუყი) ქიმიური შედგენილობა, რომელიც გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ნარჩენები პრაქტიკულად იგივე შედგენილობისაა, როგორც ნატურალური ღვინო, იმ განსხვავებით, რომ ისინი არ შეიცავენ მხოლოდ ეთილის სპირტს.

ჩვენს მიერ პირველად იქნა დადგენილი, რომ ღვინის ნარჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნას ექსტრაგენტად ზემოთ ნახსენები ყურძნის მყარი ნარჩენებიდან ბიოაქტიური ნივთიერებების, მღებავი ნივთიერებების ექსტრაგირებისათვის.

ყურძნის ბიოაქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული ექსტრაქტი წარმოადგენს საფუძველს ფუნქციონალური დანიშნულების სასმელების მისაღებად. ასეთნაირად ჩვენს მიერ მიღებულ იქნა სასმელი “ბიოანტი”, რომელიც წარმოადგენს ანტიკანცეროგენურ, ანტილიაბეტურ და რადიოპროტექტორული დანიშნულების პროდუქტს.

ბიოანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელი. ამასთან ერთად, ჩვენს მიერ საქართველოსა და ჰოლანდიაში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბიოანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პურის ნატურალური დანამატი – გამაუმჯობესებელი.

მთელს მსოფლიოში პურის გასაუმჯობესებლად (დანამატად) ამჟამად გამოიყენება ხელოვნური გამაუმჯობესებლები – გლუტენი, რომელიც იწვევს უმძიმეს დაავადებას – ცელიაკიას, რის გამოც მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ნატურალურ გამაუმჯობესებლებზე.

„ბიოანტი“, როგორც ნატურალური გამაუმჯობესებელი, წარმატებით გამოიცადა საქართველოსა და ჰოლანდიის საწარმოებში. მან მთლიანად შეცვალა ხელოვნური გამაუმჯობესებელი „გლუტენი“. იმავდროულად ბიოანტზე დამზადებული პურ – ფუნთუშეული წარმოადგენს ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტს.

სოფლად კოოპერაციის პროცესების განვითარების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 25 დეკემბერს მოისმისა აკადემიკოს პაატა კოლუაშვილის მოხსენება “სოფლად კოოპერაციის პროცესების განვითარების შესახებ.”

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: გადამმუშავებული საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი არიან მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ს სახით, მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ გლეხობისგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით. რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ გადაულახავ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა ეპოქიდან გადმოყოლილი სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთის მხრივ – სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ – აგრარული წარმოების პარალიზებისა.

საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობისთვის, საბოლოო ანგარიშით, უკუშედეგის მომტანი იქნება. კერძოდ, სოფლის

მოსახლეობას (განსაკუთრებით მიწის წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ) საბოლოოდ დაუკარგავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

სხვა სიტყვებით. რომ ვთქვათ, ხდება გლეხის სრული ექსპლუატაცია: გლეხს პრაქტიკულად არ აქვს იმის საშუალება, რომ გაისად ამ დროს ერთი ლარით უფრო მდიდარი იყოს, ვიდრე დღეს არის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ სოფელი პირველ ყოვლისა არის სახელობის ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან (ანუ სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება), რასაც სოფლად ადამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსა-სურსათო წარმოების გაფართოებული აღწარმოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სწორი პოზიციის ჩამოყალიბება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს, რომ ცალსახად და კატეგორიულად იქნეს განსაზღვრული – რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის

უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

სასოფლო ტერიტორიებზე, სადღეისოდ არსებული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო და სხვა მძიმე პრობლემების ფონზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ორი ძირითადი საწყისის გაერთიანება, კერძოდ, საკუთრების (რომელიც აძლევს მის მფლობელს არჩევანის თავისუფლებას) და მასშტაბური წარმოების განვითარების (რაც განაპირობებს ერთი მხრივ – ტექნიკურ და ეკონომიკურ უპირატესობას და მეორეს მხრივ – ავტორიტეტსა და წონას სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე).

საქმე ეხება ათიათასობით წვრილ გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას, რომლებსაც არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისათვის. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდებული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კოოპერაციულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაცლილ სოფლებს, რაც, რა თქმა უნდა, არ შედის ქვეყნის ინტერესებში.

კოოპერაციების მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნილებების ადეკვატური. სახელმწიფოსათვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. საყურადღებოა ისიც, რომ აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.

ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით. ასეთი სისტემის ფორმირებით გლეხებს მიეცემათ აგრონედლეულის წარმოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და აგრონედლეულის მწარმოებლები დაინტერესებულნი იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგებით.

კოოპერაციული წარმოების ორგანიზაციული ფორმა უნდა იყოს იმდენად სრული, რომ ადგილს არ უტოვებდეს საწარმოო პროცესში სხვის (არაადგილობრივის) დიქტატს.

ამ პროექტის განხორციელებით მიღებული სინერგიული ეფექტი რეალურად გამოიხატება:

1. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტენსიურ განვითარებაში;
2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარ-

მოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნაში, სადაც პირველადი პროდუქციის მწარმოებლები ყოველგვარი შუამავალი რგოლების გარეშე მიიღებენ მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან;

3. ევროპული ტიპის, ვერტიკალური ინტეგრირების პრინციპზე დაფუძნებული, ორდონიანი კოოპერაციული სისტემის ჩამოყალიბებაში, რომლის ფარგლებში მოხდება პირველადი პროდუქციის მწარმოებელთა სახელმწიფო მხარდაჭერა არა მხოლოდ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხში, არამედ ამ პროდუქციიდან ლიკვიდური, მაღალი ხარისხის პროდუქტის შექმნით, რაც გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანს როგორც ფერმერს, ასევე ქვეყანას;
4. დემოკრატიულ და სოციალური სოლიდარობის პრინციპებზე დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კლასიკური შიდასაწარმოო ურთიერთობების დანერგვაში;
5. შედარებით წვრილი 3-5 წევრიანი კოოპერაციების მაგივრად (სამწუხაროდ დღემდე დაფუძნებული კოოპერაციების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასეთია), მრავალწევრიანი (მინიმუმ 50 წევრი) კოოპერაციების სტიმულირებაში და პირველი დონის კოოპერაციების მიერ საწარმოო და მარკეტინგული ფუნქციებით აღჭურვილი მეორე დონის კოოპერაციის შექმნაში;
6. სისტემურ-სინერგიული ეფექტი მიიღწევა შემდეგი ძირითადი კომპონენტების ერთობლიობის საფუძველზე:
 - ეკონომიკური ეფექტი,
 - სოციალური ეფექტი,
 - პროექტის სიცოცხლისუნარიანობა.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობ ღონისძიებებს, და მოახდენს მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ხელშეწყობას, „იაფი სესხისა“ და „თანადაფინანსების“ პროგრამების ფარგლებში მაშინ:

1. ვერ მოხერხდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამმუშავების და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა;
2. აგროსექტორი პრაქტიკულად ჩაიკეტება კოოპერაციული, სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული, დემოკრატიული და ცივილიზებული შიდასაწარმოო ურთიერთობების განვითარებისთვის. ის გადაიქცევა ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების ასპარეზად, სადაც აგრომწარმოებლებიდან ნედლეულის შესყიდვა მოხდება იმ ფასებით, რომელსაც მათ უკარნახებს მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული გადამმუშავებელი საწარმო;
3. ცხადია ასეთი მიდგომა მხოლოდ უკუშედველის მომტანი იქნება, რაც საფუძველშივე

ეწინააღმდეგება ქართული სოფლის ინტერესებს. სასოფლო-სამეურნეო სისტემის განვითარებაში კოოპერაციის, როგორც ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმას, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სხვა ფორმებს შორის.

სხვა შემთხვევაში ეკონომიკური პროცესი ამ სექტორში მიმართული იქნება არა გლეხთა შემოსავლების ზრდაზე, არამედ მათი ეკონომიკური ინტერესების შეზღუდვით გადამმუშავებელ საწარმოთა (შპს) მეპატრონეების გამდიდრებაზე. საწარმოო კოოპერაციისთვის დამახასიათებელი ყოველგვარი სიკეთე (შემოსავლების ინტენსიური ზრდა, დემოკრატიული და სამართლიანი სოციო-ეკონომიკური გარემოს ფორმირება) პრაქტიკულად დაიხურება ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის და მოხმარდება მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კიდევ უფრო გამდიდრებას, რაც იქნება პირდაპირი მინიშნება ხელისუფლების მაღალ ეშელონებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის არსის სრული გაუცნობიერებლობის, ან მავანთა კორუფციული ინტერესების შესახებ.

შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგროწარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული სოფლის მეურნეობის დახმარების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული რიგ კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სისტემის სწორი ორგანიზაციული მოდელის შერჩევა, ანუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ამ დახმარების უკუგების ყველაზე მაღალ ხარისხს. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს დახმარების პოტენციურ მიმღებთა წრეს. უზრუნველყოფს ერთის მხრივ – ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების მიზნობრივ მიმართვას და მეორე მხრივ – აუცილებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებას. სამწუხაროდ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც არსებობს საშიშროება, რომ არასწორი კონცეპტუალური მიდგომების შემთხვევაში გაწეული ფინანსური დახმარების შედეგები იქნება დაბალი ქმედითუნარიანობის მქონე, ან სულაც უკუშედეგის მომტანი, როგორც ხდებოდა ამ ბოლო ათწლეულში.

სწორედ ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე ე.წ. „იაფი სესხისა“ და „თანადაფინანსების“ (10:40:50) პროგრამებთან მიმართებაში, სადაც დაფინანსებული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ ფორმებზე, ძირითადად, შპს-ებზე მოდის და მათ შორის არ არის არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო

კოოპერატივების და გლეხობის აბსოლუტურ უმრავლესობას რიგი მიზეზების (უპირველეს ყოვლისა კომერციული ბანკებისთვის არამიმზიდველი საგარანტიო უზრუნველყოფა) გამო, პრაქტიკულად არ გააჩნიათ პერსპექტივა დააკმაყოფილონ კომერციული ბანკების მოთხოვნები იაფი კრედიტის მიღებაზე. ამიტომ აუცილებელია მოიძებნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი სხვა გზები.

ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას, ხელშეკრულების საფუძველზე, არსებული სახელმწიფო თუ კერძო საწარმოების მიერ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმოებული პირველადი პროდუქციის (ნედლეულის) გადამმუშავება წარმოადგენს, სადაც გადამმუშავებული საბოლოო პროდუქტი შესაძლოა იყოს კოოპერატივისა და საწარმოს ერთობლივი წილობრივი საკუთრება (თუმცა ხელშეკრულებაში შეიძლება იყოს საბოლოო პროდუქტის თანამესაკუთრების სხვა ფორმაც). გადამმუშავებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის (მოგების) გარკვეული ნაწილი მოხმარდება ამ კოოპერატივის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, ხოლო დარჩენილი ნაწილი გადანაწილდება კოოპერატივის წევრებზე მათ მიერ გადამმუშავებელ საწარმოზე მიწოდებული ნედლეულის ღირებულების პროპორციულად.

რაც შეეხება სოფელ დარჩელის თხილის მწარმოებელ კოოპერატივს, იგი უნდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც მეორე ღონის ინტეგრირებული კოოპერაციული საწარმო (თხილის წარმოება, დასაწყობება, შრობა, ნამტვრევ-ნაჭუჭისაგან გათავისუფლება, დაკალიბრება, მოხაღვა, დაფქვა სხვადასხვა ფრაქციებად, ვაკუუმური შეფუთვა-დაფასოება და რეალიზაცია) და არა ისე, როგორც შეიქმნა, მხოლოდ თხილის წარმოება, დასაწყობება, ნამტვრევ-ნაჭუჭისაგან გათავისუფლება, და შრობა. ეს არის შეკვეცილი, არასრული (გამესამედებული) საწარმოო ციკლი, როდესაც მოგების უდიდესი ნაწილი ამ პროდუქციის შემსყიდველ-გადამმუშავებლებს რჩებათ, რომლებიც თავად დააკალიბრებენ, მოხალავენ, დაფქვავენ სხვადასხვა ფრაქციებად, ვაკუუმურად შეფუთავენ-დაფასობენ და გაყიდვას მას და არა კოოპერატივის წევრებს.

გლეხები, პრაქტიკულად, დაუცველი პოზიციების გამო იძულებული იქნებიან დათანხმდნენ თხილის შესყიდვის შეთავაზებულ (დისკრიმინაციულ) ფასს, რაც ავტომატურად გამოიწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის და ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის მოშლას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების გაუფასურებას. ჯამში: გლეხს შემოსავალი ან იგივე დარჩება, ან უმნიშვნელოდ გაეზრდება. კოოპერატივის წევრებს, ხვედრით წილად მხოლოდ თხილის მოვლა-გამშენება და მოყვანა დარჩება, რაც საბოლოოდ იმის საფრთხეს შექმნის, რომ გლეხი თხილის პლანტაციას გაყიდის და სოფლიდან აიყრება.

გამოსავალი, ამ ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამმუშავებელ

საწარმოებთან (შპს) კოოპერირების სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობაშია.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარებაც. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი.

გვახსოვდეს: კონკურენცია ყველა წარმოების ოპტიმალური რეგულირების უძლიერესი უნივერსალური მექანიზმია. სადაც ეს მექანიზმი უკმარისია, შედეგის მიღებისათვის, იქ არსებობს ერთადერთი მიზეზი. ეს მიზეზია მიზანმიმართული ურთიერთკოორდინირებული მოქმედება საქონელ-მწარმოებელთა – ამ შემთხვევაში – გლეხთა წინააღმდეგ.

საქართველოს პარლამენტის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიღებას დასაბამი უნდა მიეცა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების ახლებური, ორგანიზაციული მოწყობისთვის, რაც პირდაპირ უნდა ასახულიყო მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. კანონის არასრულყოფილების გამო ეს ასე არ ხდება.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ კანონის ის ხარვეზები, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო ნეგატიურად აისახება კოოპერაციის პროცესზე. კერძოდ, კანონით არ ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემოსავლების განაწილებისა და საპაიო ფონდის ფორმირების ძირითადი წესების განსაზღვრა, მოგებისა და ზარალის საკითხის რეგულირება.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონმა არ გაითვალისწინა არანაირი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტომ და რომელიც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კოოპერატივებზე და არანაირ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე. ფინანსური ხელშეწყობის გარეშე საქართველოში კოოპერატივების განვითარების სერიოზული პროცესის დაწყება პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს პროცესი განსაკუთრებით პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება მთიან რაიონებში და ომით დაზარალებულ საზღვრისპირა სოფლებში, სადაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მკვეთრად უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები.

კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ არ ხდება კოოპერატივის შიგა საწარმოო ურთიერთობათა მარეგულირებელი ძირითადი წესების განსაზღვრა. ეს არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი, რაც განასხვავებს მას მოგებაზე ორიენტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვ.). კოოპერატივის არსებობის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს არა საპაიო ფონდში შეტანილი ფულადი და სხვა სახის ქონებრივი სახსრები, რომელიც მეპაიეს აძლევს დივიდენდების მიღების საშუალებას, არამედ მისი წევრების შრომითი რესურსების კაპიტალიზაცია, სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთ დანიშნულებას – არა საპაიო შენატანების პროპორციულად დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სწორედ ამ ორი კომპონენტის – შრომითი და მატერიალურის ორგანული შერწყმით, (სადაც დომინანტია შრომა, ხოლო მატერიალური რესურსების ერთადერთი დანიშნულებაა – არა გაზრდილი დივიდენდების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრთა შრომის უკუგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა), მიიღწევა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალურ სოლიდარობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული სისტემის ფორმირება.

ევროპული ტიპის კოოპერატივების გამოცდილებიდან ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ კოოპერატივის მოგება ნაწილდება არა საპაიო შენატანების, არამედ კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში მისი წევრების მონაწილეობის პროპორციულად. ამ მიმართულებით განვითარებული ყველა წარმატებული ქვეყანა ქმნის შესაბამის ნორმატიულ-საკანონმდებლობას, რითაც ახდენენ კოოპერატივების შიგა-საწარმოო ურთიერთობების რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა, საპაიო შენატანების სახით, არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

რაც შეეხება საპაიო შენატანების შეუსაბამობას კოოპერატივის წევრების მონაწილეობასთან კოოპერატივის საერთო სამეურნეო ბრუნვაში, ამან, რა თქმა უნდა, ასახვა უნდა პპოვოს კოოპერატივის მოგების განაწილებაში. სწორედ ამისთვის არის განსაზღვრული ისეთი კატეგორიები, როგორცაა აუცილებელი და დამატებითი საპაიო შენატანები და მათი რეგულირების წესები.

ასეთი ადმინისტრაციული რეგულაციების გარეშე კოოპერატივები ვერ უზრუნველყოფენ ყველაზე მთავარს – იყვნენ ორიენტირებული შრომითი რესურსის კაპიტალიზაციაზე, მის მაქსიმალურ უკუგებაზე და არა ფულადი და მატერიალური რესურსების დაბანდობით

ლივიდენდების მიღებაზე (შპს-ებისა და სხვა მომგებიანი საწარმოების მსგავსად).

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს განსხვავებული პრაქტიკაც: საკანონმდებლო დონეზე ხდება კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამარტივებული წესით, რომელიც არ ახდენს კოოპერატივების შიგასაწარმოო ურთიერთობების რეგულირებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი რეგულირდება ქვეყნის მთავრობის, ან შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტით, რაც უმეტეს შემთხვევაში ხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპური წესდების მიღება-დამტკიცებით.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავის დროზე ეს საკითხები არ მიიჩნია სათანადოდ მნიშვნელოვნად, რომ სხვა განვითარებული ქვეყნების მსგავსად მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიგასაწარმოო ურთიერთობების კანონმდებლობითი რეგულირება.

აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე გააღწიეს ახდენს რიგი ნეგატიური ფაქტორები, რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის არსისა და მნიშვნელობის არასაკმარის გაცნობიერებასა და ძირითადი პრინციპების დარღვევასთან არის დაკავშირებული. თავის

შეკავება ამ კუთხით ადეკვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება უკვე გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე და მოსალოდნელ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

მოგვიანებით, მაგრამ მაინც მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

დასკვნის მაგიერ. სახელმწიფომ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელება წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამიზნულია უშუალოდ სოფლად მცხოვრები ადამიანების და საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. არსებული რეალობის გათვალისწინებით სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და განვითარებული ქვეყნების მსგავსად იკისროს ამ მნიშვნელოვანი პროცესის ფორსირებულად და ეფექტურად წარმართვის მაკოორდინირებელი, მათორგანიზებელი და ხელშემწყობი ფუნქცია.

მრგვალი მაგიდა

“სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა: “სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობა, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები”. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა: ო. ქეშელაშვილმა, თ. კუნჭულიამ, ნ. ბადათურიამ, ნ. ქარქაშიაძემ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პაატა კოდუაშვილმა. მსჯელობა შეეხებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, გადამამუშავებელი მრეწველობის საექსპორტო შესაძლებლობებს და მოცულობებს, არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის ღონისძიებებს.

სამეცნიერო სემინარი

“აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2015 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა სამეცნიერო სემინარი: “აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში.”

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის წევრ-კორეპონდენტმა თ. თურმანიძემ.

კლიმატის თანამედროვე ცვლილებებსა და მასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობისათვის საშიში სტიქიური მოვლენების შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა დოქტორმა მ. შვანგირაძემ (გარემოს დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილებების სააგენტოს ხელმძღვანელი) და მეცნიერებათა დოქტორმა ბ. ბერიტაშვილმა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). კლიმატის ცვლილების გავლენაზე აღმოსავლეთ საქართველოში მოხსენება გააკეთა აკადემიის წევრ-კორეპონდენტმა თ. თურმანიძემ. მეცნიერებათა დოქტორმა ა. სიხარულიძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირების საკითხებზე. კლიმატის ცვლილების გავლენაზე საქართველოს სუბტროპიკულ კულტურებზე თავის მოხსენებაში ისაუბრეს მეცნიერებათა დოქტორებმა გ. მელაძემ და მ. მელაძემ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტეოროლოგიის ინსტიტუტი). მეცნიერებათა დოქტორის გ. გოგიჩაიშვილის (გარემოს დაცვის სამინისტროს აგრო მელიორაციის დეპარტამენტი) მოხსენება შეეხებოდა კლიმატის ცვლილებით განპირობებული სტიქიური მოვლენების ზეგავლენას საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერებაზე. დოქტორანტმა გ. თეთრაძემ მოხსენება გააკეთა კლიმატის ცვლილების გავლენაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ზაურ ჩანქელიანი და ნოდარ ჩხარტიშვილი.

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანმა გოგოლა მარგველაშვილმა.

მონაწილეობა საერთაშორისო თათბირზე

მიმდინარე წლის 2-6 ნოემბერს ქ. ვაშინგტონში (აშშ) ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომა, რომელიც გაიმართა მსოფლიო ბანკის ოფისში. მასში მონაწილეობა მიიღეს ფონდის საბჭოს წევრებმა, CGIAR-ის კვლევითი ცენტრების გენერალურმა დირექტორებმა და მათი საბჭოს წევრებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პირველ 2 დღეს ჩატარებულ სხდომებში მოხსენებით გამოვიდნენ: ICARDA-ს, CIMIT-ს, BIOVERSITI-ს, ILRI-ს, CIP-ის, ICRISAT-ის, CIAT-ის და სხვათა გენერალური დირექტორები (სულ 15), რომლებმაც წარმოადგინეს მომავალი 5 წლის პროგრამები, რომლებიც წინასწარ იყო დარიგებული ფონდის საბჭოს წევრებზე. განსხვავებით წინა წლებისაგან, ახალი პროგრამები შედგენილია ერთი “პორტფელის” პრინციპით, ანუ შემუშავებული იქნა კომპლექსური პროგრამები რომლის შემსრულებლებიც არიან ცენტრები, პრობლემების მიხედვით. ესენია: მშრალ რეგიონებში სამარცვლე პარკოსანი კულტურების შესწავლა; თევზი; ტყე და ტყის ლანდშაფტი; მეცხოველეობა; სიმინდი; ხორბალი; ბრინჯი; ბანანი და ტუბერინი მცენარეები; კლიმატის ცვლილება; გენბანკები; კვება და ჯანმრთელობა; პოლიტიკა და მარკეტინგი; წყალი; ნიადაგები და ეკოსისტემა. ფონდის საბჭოს დანარჩენი სამი სხდომა ჩატარდა სურსათის პოლიტიკის კვლევით ცენტრში (IFPRI), სადაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ფონდის საბჭოს წევრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ამერიკის, კანადის, მექსიკის, ჩინეთის, იაპონიის,

ავსტრალიის, ინდოეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, ბელგიის, ნორვეგიის, გერმანიის, ნიდერლანდების, თურქეთის, ნიგერიის, ასევე საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა: მსოფლიო ბანკი, ევროპის კავშირი, IFAD, FAO, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდი და სხვათა წარმომადგენლები.

ფონდის სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ ერთხელ განხილული იქნა CGIAR-ის ცენტრების მიერ მომზადებული წინადადებები. გამოთქმული იქნა შენიშვნები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული მომავალი სხდომისათვის, რომელიც გაიმართება მომავალ წელს ქ. რომში (იტალია) FAO-ს ოფისში.

ფონდის საბჭოს სხდომაში ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის (CACAARI) სახელით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, რომელმაც თავის გამოსვლებში მრავალი საინტერესო მოსაზრება და წინადადებები წარადგინა, რომლებშიც გამოკვეთილი იყო სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესები.



სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გალექსიძე სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს სხდომაზე

(აშშ, ქ. ვაშინგტონი, 04 ნოემბერი, 2015)

ინფორმაცია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე

მიმდინარე წლის 4, 5 და 6 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”. როგორც სათაურიდან ჩანს, აღნიშნული პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსათვის და მათ შორის საქართველოსათვის. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში $0,74 \pm 0,18^{\circ}$ -ით გაიზარდა. პერსპექტივაში XXI საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა $1,1-6,4^{\circ}$ C-ით. გლობალური დათბობის შედეგად გარკვეული პრობლემები შეექმნება დედამიწის ბიომრავალფეროვნებას, რომლის დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კონფერენციის მიზანი იყო მეცნიერებს შორის ინფორმაციების გაცვლა აგრობიომრავალფეროვნების დღევანდელი მდგომარეობის, მასთან დაკავშირებული დაცვის სფეროს, გენეტიკური რესურსების იმპორტისა და ექსპორტის, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის შესაბამისი გამოცდილების შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბელარუსის, პოლონეთის, უკრაინის, იტალიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ ოსეთის გამომწვევებმა, აგრეთვე საქართველოს აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერებმა, მაგისტრებმა, დოქტორანტებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, სულ 160 მეცნიერმა.

კონფერენციაზე მუშაობა წარმართა სამ სექციაში: “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება მეცვენარეობაში”, “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება მეცხოველეობაში”, გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება აგროინჟინერიაში”. კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 146 მოხსენება, მათ შორის საქართველოდან 85, რომელთა უმეტესობა მოხსენდა მსმენელებს კონფერენციის მსვლელობისას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თ. მარსაგიშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა ი. ნოზაძემ და გ.ცოფურაშვილმა;

მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები.

კონფერენციის დასასრულს მიღებული იქნა “დეკლარაცია–თბილისი, 2015” (სამ ენაზე), რომელიც შემდგომში გაეგზავნებათ როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე მოწვეული სტუმრების ქვეყნების მთავრობებს და სამეცნიერო დაწესებულებებს.

კონფერენციის მსვლელობისას ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და უკრაინის ბელოცერკვის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტს შორის, აგრეთვე ყაზახეთის მეცხოველეობის და საკვებწარმოების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და უკრაინის ვინიცის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მიერ კონფერენციის ფარგლებში დაფუძნდა სამეცნიერო ჟურნალი “აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები”. ჟურნალში შესაძლებელი იქნება სტატიების გამოქვეყნება ქართულ, უკრაინულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

თბილისი, 4-6 ნოემბერი, 2015 წ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“

დეკლარაცია

2015 წლის 4-6 ნოემბერს, ქ. თბილისში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“, რომლის მუშაობაში მანაწილეობა მიიღო 9 ქვეყნის 160 ცნობილმა მეცნიერმა, სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის მიზანი იყო გლობალური დათბობისა და მასთან დაკავშირებული აგრობიომრავალფეროვნების საკვანძო პრობლემების საერთაშორისო მასშტაბით განხილვა, მისი უარყოფითი და დადებითი შედეგების აღნიშვნა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგისა და აგრობიომრავალფეროვნების კლიმატურ ცვლილებებზე ადაპტაციის მიმართულებით რეკომენდაციების მიღება.

კონფერენცია ამახვილებს ყურადღებას კლიმატზე დამოკიდებული დარგებისა და აგრობიომრავალფეროვნების კუთხით არსებულ და მოსალოდნელ რისკებზე.

სამეცნიერო ფორუმის ჩარჩოებში მოხდა მეცნიერებს შორის გამოცდილების გაზიარება რეკომენდაციების შემუშავების ხაზით, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელს გახდის მინიმუმირებული იქნას კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და აგრობიომრავალფეროვნებაზე, რაც პირდაპირ უკავშირდება ყველა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

დეკლარაცია აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის მჭიდრო, საქმიანი კავშირების დამყარების დიდ მნიშვნელობას და სამეცნიერო ფორუმების სისტემატიური ჩატარების აუცილებლობას, ქვეყნების სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით.

კონფერენციის მონაწილენი მადლობას უცხადებენ საქართველოს მთავრობას, საქართველოს რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ასეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამეცნიერო ფორუმის ჩატარებისათვის და **ყურადღების აქცენტირებას ახდენენ შემდეგზე:**

- გლობალური დათბობისა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები საერთოა ყველა ქვეყნისათვის და მათი საქმიანობა, სამომავლოდ, მიმართული უნდა იქნას კიოტოს შემდგომი სტრატეგიული შეთანხმებების გათვალისწინებით;

- გაიზარდა აგრობიომრავალფეროვნების გაუარესების მასშტაბები და გამოვლინდა კლიმატზე დამოკიდებულ დარგებზე მისი უარყოფითი შედეგები;

- აუცილებელია სამთავრობო და არა-სამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეთა და სამეცნიერო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა კლიმატურ რესურსებზე ანტროპოგენული ზემოქმედების შემცირების მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების შესამუშავებლად;

- გაიშალა მუშაობა კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სცენარის მიხედვით მრავალგარიანტული ადაპტაციური ღონისძიებების შესამუშავებლად, კლიმატზე დამოკიდებული ეკონომიკის დარგებისა და აგრობიომრავალფეროვნების სახით.

კონფერენციის მონაწილეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ:

- განისაზღვროს აგრობიომრავალფეროვნების რეგულირების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები, მიდგომები, მეთოდები და პრინციპები, შემუშავდეს მეცნიერული კონცეფცია, გენეტიკური რესურსების შენარჩუნებისა და მართვის მექანიზმები;

- გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა მეცნიერული ცოდნისა და განათლების გავრცელების საქმეში, ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და აგრობიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილებისა და მისი გავლენის მიმართულებით;

- დამუშავდეს და განუხრელად იქნას გამოყენებული ეროვნული ადმინისტრირების სამართლებრივი ინსტრუმენტები აგრობიო-

მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და დაცვის მიმართულებით;

- აუცილებლად ჩაითვალოს აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაცვა კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში, როგორც ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი;

- წახალისდეს გამოკვლევები, პროექტები, პროგრამები, რომელიც მიმართული იქნება კლიმატის გლობალური ცვლილების პირობებში აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და დაცვისაკენ;

- პრიორიტეტულად იქნას მიჩნეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, ცხოველთა და ფრინველთა ახალი ჯიშების გამოსაყვანად, რომლებიც ადაპტირებული იქნებიან გარემო პირობებზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში რესურს-დამზოგავი და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების მიხედვით;

- გაძლიერდეს მუშაობა აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და სამონადირეო მეურნეობების განვითარების მიმართულებით;

- გაიზარდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი აგრობიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების პროპაგანდის მიმართულებით;

- ინფორმირებული იქნას ფართო საზოგადოება, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები გლობალური დათბობისა და აგრობიომრავალფეროვნების პრობლემებზე ჩატარებული კონფერენციის შედეგების თაობაზე.



კონფერენციის გახსნა. თავმჯდომარე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე.

ინფორმაცია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეები აბრეშუმის
სახელმწიფო მუზეუმში

2015 წლის 06 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა აკადემიის მიერ ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” მონაწილეებისათვის მოეწყო კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებული ექსკურსია აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში.

მუზეუმში წარმოადგენს უნიკალურ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, რომელიც ჯერ კიდევ 1887 წელს დაარსდა თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ბაზაზე, რომლის დამაარსებელი იყო ნიკოლაი შავროვი. მიუხედავად მძიმე წარსული წლებისა, მუზეუმმა შეინარჩუნა თავისი პროფილი და იგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი გახლავთ, რომელსაც დღეს დიდი პროფესიონალიზმით და პასუხისმგებლობით უძღვება ქალბატონი ნინო კუპრავა.

მუზეუმში თემატურად გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც მოიცავენ თუთის ხეს, სხვადასხვა ჯიშის აბრეშუმის ჭიას და მის ენტომოლოგიას, აბრეშუმის პარკს, აბრეშუმის ძაფს და ქსოვილს, საღებავებს, გრენის კონტეინერებს, აბრეშუმის მრეწველობის სხვადასხვა ხელსაწყოებს და მოდელებს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მსოფლიოში მუზეუმი ერთადერთია, რომელიც სახელმწიფოს ბალანსზეა, ვინაიდან ლიონში (საფრანგეთი) არსებული მეორე ასეთი მუზეუმი 2000 წლების დასაწყისში კერძო მფლობელის ხელში გადავიდა.



მარცხნიდან: დოქტორი ნ. ბარამიძე, მუზეუმის დირექტორი ნ. კუპრავა და
ტაჯიკეთის წარმომადგენელი დოქტ. ს. სალიმჟანოვი,
დოქტ. ზ. წყარუაშვილი

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული საქართველო 2015

პირველად საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ტარდება მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული. მისი ჩატარების თარიღი სიმბოლურია. იგი გაიხსნა 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მთავრდება 17 ნოემბერს, სტუდენტების საერთაშორისო დღეს.

პირველად საქართველოსა და კავკასიის რეგიონში ტარდება მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული. მისი ჩატარების თარიღი სიმბოლურია. იგი გაიხსნა 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს და მთავრდება 17 ნოემბერს, სტუდენტების საერთაშორისო დღეს.

მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" მოეწყო მეცნიერებისა და ინოვაციების გამოფენა, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები, საჯარო ლექციები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გამოფენაზე ღირსეულად წარსდგა თავისი ინტელექტუალური პროდუქციით - ბოლო ხუთ წელიწადში გამოცემული აკადემიის წლიური ანგარიშებით, აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულებით "მოამბე", 2013, 2014 და 2015 წლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებით, აკადემიის წევრების მიერ მომზადებული სოფლის მეურნეობის დარგების პრაქტიკული რეკომენდაციებით და მათი მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო შრომებით. გამოფენაზე წარმოდ-

გენილი ბანერები ასახავდა აკადემიის ლოგოს, სტრუქტურას, აკადემიის კავშირებს მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვა.

აკადემიის საგამოფენო სტენდების დამთვალიერებელთა შორის ბრძანდებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქალბატონი თ. სანიკიძე, პარლამენტარები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, თბილისის მერი, ბატონი დ. ნარმანია, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გ. ალიბეგაშვილი, სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერები და სტუდენტები.

სტუმრებს აკადემიის შესახებ ინფორმაციები მიაწოდეს აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ვალექსიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტ. ა. გიორგაძემ და პრეზიდენტის თანაშემწემ, მაგისტრმა თ. ეპიტაშვილმა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მეცნიერებისა და ინოვაციების გამოფენაზე (10.11.2015)



მარცხნიდან: სსმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ.ჯაფარიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ი.ღარიბაშვილი, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გ.ალიბეგაშვილი, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრი ს.სუბარი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თ.სანიკიძე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გ.აგულაშვილი, სსმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გალექსიძე



მარცხნიდან: დოქტ. ა.გიორგაძე, აკად. გ.ჯაფარიძე, აკად. გალექსიძე, აკადემიის წ/კ ე.შაფაქიძე, აკად. ო.ქეშელაშვილი

**სამეცნიერო კონფერენცია
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში**

2015 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “საქართველოს მცენარეთა მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები”. კონფერენცია მიემდგვნა თბილისში მიმდინარე “ინოვაციებისა და მეცნიერების საერთაშორისო კვირეულს – საქართველო 2015” (2015 წლის 10-17 ნოემბერი), რომელიც ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით და მხარდაჭერით.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე, ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკად. ნ. ქარქაშიძე, აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, მოწვეული სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან და აგრარული მიმართულების სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან კონფერენციას ესწრებოდა სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსი, ბატონი ნ. ჩიტაია.

კონფერენციას ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები ნ. ჩხარტიშვილი და გ. კვალიაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები გ. გაგოშიძე, ვ. თოდუა, თ. კაჭარავა და სოფლის მეურნეობის დოქტორი დ. მალრაძე. მოხსენებლებმა ამომწურავად უპასუხეს კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოების მრავალრიცხოვან შეკითხვებს. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა რ. ჩაგელი-შვილმა, გ. ბადრიშვილმა და ზ. ჩაქსელიანმა, დოქტორმა ნ. გოგინაშვილმა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ და აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ.



სამეცნიერო კონფერენციის გახსნა. თავმჯდომარე სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსის ნ.ჩიტაიას გამოსვლა

სტუმრები უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან

2015 წლის 30 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. მიხეილ ბაშენკო და ამავე აკადემიის ვეტერინარული მედიცინის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ მანდიხრა.

უკრაინელ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი დოქტორი ა. გიორგაძე, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში თ. ეპიტაშვილი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გ. ბასილაძე, მთავარი სპეციალისტი შ. ფოცხვერია, უფროსი სპეციალისტი მ. ლომინეიშვილი, წამყვანი სპეციალისტები ც. ქლიფთარი და ე. კალანდია.

შეხვედრაზე სტუმრებს აკადემიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა აკად. გ. ალექსიძემ, აკად. გ. ჯაფარიძემ, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ და დოქტორმა ა. გიორგაძემ.

თავის მხრივ შეხვედრის მონაწილეებს უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. მ. ბაშენკომ და აკადემიის წ/კ

ნ. მანდიხრამ. უკრაინელმა სტუმრებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს აკადემიის და მასში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების და პრობლემური ლაბორატორიების სტრუქტურა და კვლევის მიმართულებები, სახელმწიფო სტრუქტურების როლი აკადემიის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებაში.

მხარეებმა მოსაზრებები გაუზიარეს ერთმანეთს მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეტად აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც ეხება ცხოველთა დაავადებებს, ვეტერინარიის სამსახურების მუშაობის თემატიკებს, მეცხოველეობაში რისკის შემცირების ღონისძიებებს. შთამბეჭდავი იყო ამ მიმართულებით უკრაინაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევების შედეგები და ცენტრის სამომავლო ამოცანები.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რათა უკრაინისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის უახლოეს ხანებში გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომ-

ლის ტექსტის მომზადებაში მონაწილეობას მიიღებენ უკრაინელი სტუმრები, ხოლო საქართველოს მხრიდან - აკადემიის წარმომადგენლები. მემორანდუმი ხელს შეუწყობს საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებს შორის საქმიანი კონტაქტების გაძლიერებას, მეცნიერულ თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებში, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ღონისძიებების გაძლიერებას და ა.შ.

შეხვედრა უკრაინულ სტუმრებთან. აკადემიის შესახებ ინფორმაციას აკეთებს ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე



შეხვედრა უკრაინულ სტუმრებთან. აკადემიის შესახებ ინფორმაციას აკეთებს ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე

აკადემიის საგამოფენო დარბაზი. მარცხნიდან - სსმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გალექსიძე, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. მ. ბაშენკო.

ინფორმაცია

ახალი შევსება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 03 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე ჩატარდა სამეცნიერო განყოფილებებში გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევნები.

აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩეული



➤ აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0101 “აგრონომია”, სპეციალიზაცია 010103 “აგროტექნოლოგია” (სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით) – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რეზო ჯაბინიძე**;



➤ აგროსაინჟინრი სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0415 “აგროინჟინერია“, სპეციალიზაცია 041502 “სოფლის მეურნეობის მექანიზაცია” – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელგუჯა შაფაქიძე**;



➤ ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0701 “ეკონომიკა” – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კოლუაშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს გამოჩენილ მეცნიერებს აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩევას.

**საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
საერთო კრება**

2015 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის საერთო კრება. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ინფორმაცია CGIAR - სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის ფონდის საბჭოს მიერ ჩატარებული საერთაშორისო თათბირის შესახებ (ვაშინგტონი აშშ). მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე; ინფორმაცია ა.წ. 4-6 ნომბერს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” შედეგების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების სამეცნიერო განყოფილების სახელწოდების შეცვლის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სურსათის უვნებლობის სამეცნიერო განყოფილების შექმნის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) არჩევნები. მომხსენებელი: საექსპერტო - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

**ინფორმაცია
სამეცნიერო კონფერენცია აკადემიაში**

2015 წლის 04 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა გაეროს მიერ გამოცხადებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში”.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ო. დანელიამ, მინისტრის მოადგილემ გ. გალგაშვილმა, მინისტრის

მრჩეველებმა თ. კუნჭულიამ, ო. კაჭარავამ და შ. კიკალიშვილმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თ. მარსაგიშვილმა, ამავე სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ, გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიწის რესურსების დაცვისა და ნიადაგების სამსახურის უფროსმა ნინო ჩიქოვანმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლ. უჯმაჯურიძემ, დირექტორის მოადგილემ გ. ბასილაძემ, ცენტრის თანამშრომლებმა, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე;

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თ. მარსაგიშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სამსახურის უფროსი ნ. ჩიქოვანი.

კონფერენციაზე მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თ. ურუშაძე და დოქტორი თ. ქვრივიშვილი, თსუ-ს პ. გუგუშვილის ეკონომიკის

ინსტიტუტის წარმომადგენელი, მეცნიერებათა დოქტორი თ. ჩხეიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გ. გაგოშიძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსები რ. მახარობლიძე და პ. კოლუაშვილი, გარემოს დაცვის სააგენტოს წარმომადგენელი, დოქტორი გ. გოგიჩაიშვილი.

კონფერენციაზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის წარმომადგენელმა ლ. ღლიღვაშვილმა, დოქტორმა ლ. უჯმაჯურიძემ, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა, მეცნიერების დოქტორმა ვ. თოდუამ და სხვა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს და შეაფასეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსმა ნ. ჩიტაიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი დადგენილება და რეკომენდაციები; აღინიშნა, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება შრომათა კრებულის სახით, რომლის რედაქტორობა დაევალოს აკად. გ. მარგველაშვილს და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, აკად. ე. შაფაქიძეს.




კონფერენციის გახსნა. მარჯვნიდან – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ო. დანელია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. გ. ჯაფარიძე

ინფორმაცია

ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფორუმი აშშ-ში

2015 წლის 8-9 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნუგზარ ზალათურია დაესწრო ნიუ-იორკში გამართულ ფორუმს, რომელიც მიემდგვნა ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში.



აკად. ნ. ბალათურას ჰქონდა საქმიანი შეხვედრები, რომელზედაც უცხოელ სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს საექსპორტო პოტენციალს და მისი ამოქმედების ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ამერიკელთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ქართული თხილის ზეთის ნიმუშებმა. გამოითქვა მზადყოფნა, რომ გაგრძელდეს ერთობლივი მუშაობა ამერიკის ბაზარზე ქართული თხილის ზეთის ექსპორტის განხორციელების მიზნით.

სურათზე: სსმმა აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობისათვის მიძღვნილ ფორუმზე ქ. ნიუ-იორკში.

ინფორმაცია

აკადემიის სტუმრები ჩინეთიდან

2015 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ჩინეთის ნინსიას მეტყვევების ინსტიტუტის მცენარეთა ბიოინჟინერიის სახელმწიფო ლაბორატორიის პრეზიდენტი, პროფესორი ლი ჯიანი.

პროფ. ლი ჯიანს და მის თანმხლებ პირებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ. ჯაფარიძე, აკადემიკოსები რ. ჩაგელიშვილი და ე. შაფაქიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტ. ა. გიორგაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლ. უჯმაჯურიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფ. გ. გაგოშიძე, აკადემიის პრესსამსახურის თანამშრომლები.

ჩინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის საგამოყენო დარბაზის ექსპონატები, სტენდებზე გაეცნენ აკადემიის სტრუქტურას და საქმიანობის მიმართულებებს; შემდეგ გაიმართა ორმხრივი დისკუსია, სადაც ერთმანეთს სიტყვით მიმართეს აკად. გ. ალექსიძემ და ქალბატონმა ლი ჯიანმა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ჯაფარიძემ, აკად. რ. ჩაგელიშვილმა და დოქტ. ლ. უჯმაჯურიძემ. ორმხრივ საუბრებში გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, სადაც შესაძლებელია საქართველოს და ჩინეთის მეცნიერების ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა,

განსაკუთრებით მრავალმხრივი და მრავალფუნქციონალური მცენარის “გოჯი” (Wolf Perri) და მისი სახეობების საქართველოში გამოცდის შესახებ.



ჩინეთის მცენარეთა ბიოინჟინერიის სახელმწიფო ლაბორატორიის პრეზიდენტი, პროფესორი ლი ჯიანი და საქართველოს ს. მ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე სსმმ აკადემიაში

ინფორმაცია

შეხვედრა სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე

2015 წლის 29 დეკემბერს სასურსათო უსაფრთხოების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა გაფართოებული შეხვედრა გამართა და შემაჯამებელი რეკომენდაციები განიხილა.

აღნიშნული რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ტექნიკური დახმარებით განხორციელდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა, ჯემალ გუგუშვილი, თამაზ კუნჭულია; პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება მომავალ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების კუთხით მიმდინარე საქმიანობას.

სამუშაო ჯგუფს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი ხელმძღვანელობდა. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ თემატიკა ფართოა, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და მთავარია, ყველაფერი სისტემურად დაიგეგმოს და თანმიმდევრულად განხორცი-

ელდეს.

„სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები, შემსრულებელი ორგანოები და თანმიმდევრულად განხორციელდეს სამუშაოები“, - აღნიშნა გოჩა ცოფურაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე "ოქსფამის" სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერმა, ლევან დადიანმა აღნიშნა, იმისათვის, რომ აღნიშნული რეკომენდაციები სასურსათო უსაფრთხოების კუთხით პრაქტიკაში განხორციელდეს, საჭიროა გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა და უწყებათაშორისი კოორდინაცია.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ; ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ; აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ.

სასურსათო უსაფრთხოების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი აერთიანებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს.

მეოთხე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 10 საკითხი. მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” საორგანიზაციო საკითხების შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე. ინფორმაცია ა.წ. 4-6 ნოემბერს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” შედეგების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ასარჩევად კანდიდატურის შერჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ინიცირებული მცენარეულ ცხიმებში ინდუსტრიული ტრანს ცხიმების შემცველობის ნორმატიული აქტის დამტკიცების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. განხილულ ცალკეულ საკითხებზე რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ “აკადემიის მაცნეს”
მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-
მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს”
მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე,
სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის
მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს”
პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთა-
ვარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი

“აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” დამატება. "News of Academy" - addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.